პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 თებერვალი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 27 (14937)

სურათზე: საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილენი (მარცხნიდან): გარდაბნის რაიონის სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ნ. მუჩიაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. სპამპოჩაიშვილი, გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ნ. ხასაია, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ფულაია, უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. ფივფიფაძე, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის № 3 შახტის მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ციბა.

ფოტო ვლ. ბინზაურგისა.

მაღლა ვაფარეთ კომუნისტთა პარტიის ერთგული თანამშემწისა და მებრძოლი რეზერვის სახელი

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ამხანაგებო!

თანდათან გვიახლოვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გახსნის დღე და დღითიდღე ფართოვდება მზადება პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის.

საქართველოს კომკავშირული აქტივის დღევანდელი კრება ეძღვნება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგებს, რომელმაც განიხილა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი ღირსეულად დგანან შრომითს ვახტზე, ესწრაფვიან თვითეული წინასაყრილობო დღე გადააქციონ დამკვრელური მუშაობისა და ჩინებული სწავლის დღედ.

ამის შესახებ დღეს ილაპარაკეს მომხსენებელმაც — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა და კამათში გამოსულებმაც.

მეტად აღსანიშნავია, რომ წარმოებაში მოგუშავე რესპუბლიკის 80 ათასმა კომკავშირელმა-ვადაზე შეასრულა ხუთწლიანი დავალებანი, რომ სამი ათასზე მეტმა ახალგაზრდა საწარმოს მუშამ უკვე გასული წლის ნოემბერში დაიწყო შრომა მიმდინარე, 1971 წლის ანგარიშზე.

მაგრამ ჩვენს კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას არასდროს არ აკმაყოფილებს მიღწეული, მოპოვებული. ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის ცხოვრების წესად, კანონად იქცა: მიაღწიე ერთ მიჯნას — ემზადე მეორე, უფრო მაღალი მიჯნის მისაღწევად.

იცავს რა ამ წესს, ჩვენი ახალგაზრდობა აფართოებს სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის ყრილობის ალსანიშნავად, კისრულობს ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს. აქაც კომკავშირელები ყველგან იჩენენ ინიციატივას, არიან ახალ სახარგებლო წამოწყებათა თაოსანნი.

შრომითს ვახტზე დადგნენ თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდა მანქანათმშენებლები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ფოთისა და ბათუმის გემთმშენებლები, რუსთავის მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცხელმენტეები და ამწემშენებლები. საქართველოს ამ უკანასკნელ ახალგაზრდა ქალაქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს პარტიის ყრილობის ალსანიშნავად ბეგმის გადაჭარბებით გამოუშვან ასობით ტონა მზა ნაგლინი, მილები, ამიაკი, ათობით ტონა კაპროლაქტამი და ქიმიური ბოჭკო, დაწოგონ სათბობი, ელექტროენერგია, გაზი, შეიმუშაონ და წარმოებაში დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებანი.

მეტად აღსანიშნავია, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ მონაწილეობას ოთხი ათასზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქრო, ცვლა, უბანი, ბრიგადა, რომლებიც 40 ათასზე მეტ კომკავშირელსა და ახალგაზრდას აერთიანებენ.

ეს მონაცემები იმისათვის მოვიყვანე, რომ ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი, თუ რა უდიდესი შემოქმედებითი ძალაა ჩვენი კომკავშირი, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ მეჩვენებინა, თუ როგორ ასრულებს ჩვენი მოზარდი თაობა ლენინის ანდერძს — „რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად ხელეწიფოს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც ხულ მცირე, თუნდაც ხულ უბრალო ამოცანას“.

ამ სიტყვებით ვ. ი. ლენინმა მიმართა კომკავშირის III ყრილობის დელეგატებს და მოუწოდა ახალგაზრდებს ისწავლონ კომუნიზმი, აღიზარდონ კომუნისტებად, საქმე ისე წარმართონ, რომ თავიანთი მუშაობა, თავიანთი ძალები მოახმარონ საერთო საქმეს.

გასული წლის ოქტომბერში 50 წელი შესრულდა ლენინის ამ სიტყვიდან, რომელშიც განსაზღვრულია კომკავშირის მთელი საქმიანობის პროგრამა, მოცემულია განაწესი ახალგაზრდობისადმი — იცხოვროს, იშრომოს და იბრძოლოს კომუნიზმისათვის.

ორი წლით ადრე, 1968 წლის ოქტომბერში, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნეს ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის — ბოლშევიკური პარტიის პირმშოს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლის ძოწინავე რაზმის 50 წლისთავი.

მიმდინარე წლის ოქტომბერში კი აღვნიშნავთ საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

როგორც ხედავთ, სახელოვანი ლენინური კომკავშირის გმირულ გზაზე ბევრია სამახსოვრო თარიღი, და თვითეული მათგანი მისი ისტორიის ახალი ფურცელია.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენა იქნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. ეს იქნება ქართველი ხალხის, რესპუბლიკის უველა მშრომელთა დიდი ეროვნული დღესასწაული, მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული, ეგი იქნება იმ დღესასწაულობათა განგრძობა, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვან იუბილესა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან.

ხალხის ცხოვრების, რესპუბლიკის ცხოვრების ასეთი საეტაპო მოვლენის წინ გვაგონდება წარსული წლები. და როცა თვალს ავლებ განვლილ გზას, ყოველთვის რწმუნდები, რომ კომკავშირელები, ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ნათელი მომავლისათვის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე.

ასე იყო დიდი ოქტომბრის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში. ასე იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან წლებში. ასე იყო პირველი ხუთწლედების წლებში, ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის წლებში. ასე იყო დიდი სამამულო ომის წლებში, ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის წლებში. ასე იყო ომისშემდგომი მშენებლობის წლებში, როცა უნდა აღგვედგინა ნანგრევებადქცეული ქალაქები და სოფლები, ომით გაჩანაგებული მეურნეობა.

ასეა ახლაც, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა პარტია მიუძღვის საბჭოთა ხალხს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

აი რატომ ვამბობთ, რომ ლენინური კომკავშირი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეა.

იყო კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე — ნიშნავს კიდევ უკეთ აღზარდო ჩვენი ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით, დარაზმო იგი პარტიის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, ახალი გაძარჯვებებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის. ეს ნიშნავს გაუფრთხილდე და ამრავლო ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

ამ ტრადიციების ერთგულება — ნიშნავს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან ითვისო ყოველივე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი და შემოქმედებითად განავითარო ყოველივე ეს თანამედროვე პირობებში, დღევანდელი ამოცანების შესაბამისად.

საქმისადმი ასეთი მიდგომის, წარსულის მემკვიდრეობისადმი ასეთი შემოქმედებითი დამოკიდებულების მეოხებით ჩვენი საზოგადოება თანდათან ადის თვისებრივად ახალ საფეხურზე. ცხოვრება გაუხარელად მიდის წინ, და მასთან ერთად იზრდებიან, იცვლებიან ჩვენი ადამიანები, ისინი ხდებიან უფრო განათლებულნი, კულტურულნი, იზრდება და მტკიცდება მათი იდეური რწმენა, მიზანსწრაფულობა.

ავიღოთ კომკავშირული აქტივის დღევანდელი კრება.

ამ დარბაზში შეიკრიბნენ სამოცდაათიანი წლების ქალიშვილები და ჭაბუკები, ისეთები, როგორიც არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე იური მარგალაძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მღარავი თამაზ გიორგაძე, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ზეინკალი გიური წულაია, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათისა და მახარაძის რაიონის სოფელ ნატახტების მეჩაიეები ქეთევან გოგიტიძე და სვეტლანა ნიკოლაიშვილი, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია, რომელიც ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ მართავს, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალურ მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარინე ჭიპიშაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია და პოეტი, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი რევაზ ამაშუკელი.

თვით იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დასახელებაში, სადაც ეს ამხანაგები მუშაობენ, მათი პროფესიისა და თანამდებობის ჩამოთვლაში, მათი მუშაობის თავისებურებაში ჩაქსოვილია რესპუბლიკის ცხოვრების ის სიახლე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვიტანა.

ამ ცხრა ქალიშვილისა და ჭაბუკის საზოგადოებრივ საქმიანობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სამი მათგანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ერთი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ერთი — სოციალისტური შრომის გმირი, ერთი — შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი. მათგან ორს აქვს უმაღლესი განათლება, სამს — საშუალო, ერთს — საშუალო სპეციალური განათლება, სამი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის სამი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია, ერთი — სრულიად საკავშირო ალკკ სარევიზიო კომისიის წევრი, ორი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მათ შორის ექვსი არჩეულია სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობის დელეგატად.

განა ყოველივე ეს იმაზე არ მეტყველებს, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ადამიანებმა, რომლებმაც შეითვისეს ყოველივე ხუთეთესო თავიანთი მამებისა და უფროსი ძმებისაგან — ოცდაათიანი წლების კომკავშირელებისაგან, ბევრად გაუსწრეს მათ და უფრო შორს, წინ წავიდნენ?

მინდა სულითა და გულით ვუსურვო რესპუბლიკის უველა კომკავშირელს, მთელ ჩვენს ახალგაზრდობას მთელი ცხოვრება ეტარებინოთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, იდეური რწმენის ძალა, უშრეტი საბჭოთა პატრიოტიზმი, გულისა და სულის კეთილშობილება.

აქვე უნდა ვთქვა, რომ კომკავშირი ცხოვრების შესანიშნავი სკოლაა. კომკავშირში ახალგაზრდები იძენენ ორგანიზატორულ ჩვევებს, სწავლობენ ადამიანებთან მუშაობას, არ ეშინიათ სიძნელეებისა, გადადულად ძლევენ მათ, რაც მთავარია — პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ესე იგი იძენენ იმ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მთელი მათი შემდგომი საქმიანობისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სფეროში მოუხდებათ მუშაობა, რა პროფესიას აირჩევენ.

აი რატომ ვამბობთ, რომ ლენინური კომკავშირი კომუნისტური პარტიის მებრძოლი რეზერვია.

იყო კომუნისტური პარტიის მებრძოლი რეზერვი — ეს ნიშნავს მოამზადო ჩვენი კომკავშირელები, ჩვენი ახალგაზრდობა პარტიაში შესასვლელად, აღზარდო მცოდნე, გამოცდილი კადრები, საქმისადმი ერთგული მუშაკები.

ძალიან კარგია, რომ რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში უოველწლიურად სულ უფრო იზრდება ახალგაზრდა კომუნისტთა რიცხვი, და ახლა მათმა რაოდენობამ 16 ათასს გადააჭარბა, აღსანიშნავია, რომ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თითქმის 40 პროცენტი კომუნისტები არიან.

საქართველოს კომკავშირში რვა ათასზე მეტი პირველადი ორგანიზაციაა, რომლებიც აერთიანებენ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ნახევარ მილიონ ნორჩ ლენინელს.

პარტია ხაზს უსვამს, რომ სრულიად საკავშირო ალკკ როლის ამაღლება კომუნისტურ მშენებლობაში უნდა ხორციელდებოდეს ყველა მისი რგოლის, უწინარეს ყოვლისა, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუდმივი განმტკიცებით.

ეს ითქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ პლენუმზე, რომლის შედეგებს ეძღვნება კომკავშირული აქტივის ჩვენი კრება, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. მ. ტიაულენკოვის შინაარსიან მოხსენებაში, ისევე როგორც მის დღევანდელ მეტად საინტერესო გამოსვლაში, რომელშიც დასმულია პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი, კონკრეტული ამოცანები.

იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ კომკავშირული მუშაობა, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავზარდოთ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მონაწილეობის ეფექტიანობა.

ახლა, მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის, ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში ამოცანა ის არის, რომ კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა წარმართოთ პარტიის მიერ დასახული ახალი, კიდევ უფრო რთული ამოცანების გადასაწყვეტად.

საჭიროა, რომ ჩვენი კომკავშირელები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა კვლავაც ამაღლებდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს უწინარეს ყოვლისა მისი ეფექტიანობის გადიდების გზით, იყენებდნენ არსებულ რეზერვებს, ნერგავდნენ საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რომ განუხრელად ვამაღლებდეთ ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების პროფესიულ დონეს, აგრეთვე მათს ზოგადსაგანმანათლებლო და ეკონომიურ ცოდნას.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთავარი უურადღება უნდა მიაქცინონ ჩვენი ახალგაზრდობის იდეურ წრთობას, ქალიშვილებისა და ჭაბუკების პოლიტიკურ აღზრდას, მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. და ეს ამოცანა უნდება უწინარეს ყოველისა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში, მათი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ყოველდღიურ მუშაობაში.

3. ი. ლენინი მოგვიწოდებდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე მისთვის კომუნისტური მორალის ჩანერგვა ყოფილიყო.

მაღალი მორალური თვისებები ყალიბდება უწინარეს ყოვლისა შრომაში. სწორედ შრომისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება ადამიანის მორალური სახე, შრომა და მხოლოდ შრომა უნდა იყოს მისი ღირსების მთავარი საზომი.

ამიტომ არ შეიძლება არ გვაღელვებდეს, რომ ჩვენს ახალგაზრდებში ჯერ კიდევ ვხვდებით ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, რომ ახალგაზრდებში ჯერ კიდევ არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დამნაშავეობის შემთხვევებიც კი. კომკავშირი ვალდებულია თავისი გავლენა გაავრცელოს მთელ ახალგაზრდობაზე, არავინ დატოვოს უყურადღებოდ, ებრძოლოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ რეგულარულად, გეგმაზომიერად, ყოველდღიურად.

გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იყოს შრომისმოყვარე, განათლებული, კულტურული. გვინდა, რომ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ვხედავდეთ ჯანმრთელს, ფიზიკურად გამოწრთობილს, მხიარულს, სიცოცხლისუნარიანს. გვინდა, რომ ისინი იყონ კარგად აღზრდილნი, წესიერად იქცეოდნენ სამუშაოზე, საზოგადოებაში, ვიცოდეთ, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი პატივს უნდა სცემდეს უფროსებს, იყოს მორიდებული თანატოლთან, თავაზიანი, მზრუნველი უმცროსების მიმართ. ეს კეთილშობილური, მაღალსუმანური თვისებები ხომ მუდამ ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობას.

ამხანაგებო!

იმისათვის, რომ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ, საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესონ მათდამი ხელმძღვანელობა. კომკავშირული ორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხები განხილული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე და, უნდა თქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში უკანასკნელ დროს საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა.

ამოცანა ის არის, რომ კვლავაც გავაღლიეროთ ეს მუშაობა, მუდამ გვახსოვდეს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძალიანაა და სიმტკიცის წყაროა, ყველა მისი წარმატების საწინდარია.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„პარტია კომკავშირისათვის ყოველთვის იყო უფროსი მეგობარი, კეთილი მრჩეველი და მასწავლებელი, ყოველთვის ახლოს მიჰქონდა გულთან ახალგაზრდა თაობის ფიქრები, საჭიროებანი, მისწრაფებანი.

ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია მისწრაფება მომავლისადმი, რადგან თვითონ არის მომავალი. იგი მიჰყვება კომუნისტების პარტიას იმიტომ, რომ პარტია მიუძღვის მშრომელებს მომავლისაკენ, დაადი მიზნისაკენ, რომელიც ყოველთვის იტაცებდა და შთაგონებდა მოწინავე ახალგაზრდობას, — კომუნიზმისაკენ“.

ნება მიბოძეთ დასასრულ გისურვოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ნორჩო მეგობრებო, ყოველივე კეთილი, ყოველივე ხუთეთესო და გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს კომკავშირი, როგორც ყოველთვის, იდგება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის პირველ რიგებში, კვლავაც იქნება პარტიულ ორგანიზაციათა ღირსეული თანაშემწე და საიმედო რეზერვი, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები კიდევ უფრო გაამრავლებენ საბჭოთა ხალხის დიდ რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს. (ტაში).

შრომის ვახტზე

□

გვეტყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები

რკინიგზელთა წარმატებები

● **ამიერკავკასიის** მაგისტრალის რკინიგზელებმა გაანადღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავად, ვადაზე, 29 იანვარს გაანადღეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და დანიშულებისამებრ მიტანის 1971 წლის პირველი თვის დავალება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დატვირთვა გაიზარდა 5 პროცენტით, ნაკისრია ახალი ვალდებულება — ამ თვის დამლევამდე ადრესატებს ბეგმის გადაჭარბებით ჩაბარონ ხუთწლედის ათასამბამი ტონა ტვირთი. (საქდესი).

სრული მეტალურგიული ციკლით

● **რუსთავი.** (საკ. კორ.). წარმატებით დაიწყო ახალი ხუთწლედი მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა. საამქროებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მეტალურგებმა ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. ისინი თავიანთ სიტყვას ამართლებენ. წლის დასაწყისიდან არ ყოფილა ისეთი დღე, რომ დავალება გადაჭარბებით არ გაენაღდებინოთ, და აი მეფეგიც — ნივრის დავალება სრული მეტალურგიული ციკლით ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა. სახელმწიფომ ბეგმის გადამეტებით მიიღო 150 ტონა თუჯი, 1500 ტონა ფოლადი, 1500 ტონა მზა ნაგლინი, 300 ტონა მილები, პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულია 102 პროცენტით. ქარხნის კოლექტივი ემზადება № 2 საბრძმედე ღუმელის კაპიტალური შეკეთებისათვის.

მეტალურგებმა გადაწყვიტეს 17 აპრილი გამოაცხადონ შაბათობის დღედ და ვალდებულება იკისრეს ამ დღეს გადმოტვირთონ 100 სარკინიგზო ვაგონი, ქარხნის ტერიტორიაზე დარგონ 2000 ძირი ხე და ბუჩქი, შეაგროვონ 300 ტონა ჯართი.

პირველი დანაზოგი

● **ქუთაისი.** (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა აღმავლობით დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი. იანვრის ორ დეკადაში აქ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 56 ათასი მანდილის პროდუქცია და ასევე გადააჭარბეს რეალიზაციის მოცულობის დავალებას.

ფაბრიკაში ახალი წლის პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა ლაშქრობა მეცხრე ხუთწლედის ეკონომიის ფონდისათვის. პირველი დანაზოგი უკვე არის. მარტო ორ დეკადაში გაწეულია 1.000 კილოკალაბ-საათი ელექტროენერგიისა და 700 კვადრატული მეტრი ქსოვილის ეკონომია. დაზოგილი ქსოვილისაგან დამატებით გამოშვებულია 400 ცალი შამაკაცისა და ბავშვის ზედა პერანგი.

ფართოვდება ასორტიმენტი

● **ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის სარეცხი მაწქანების ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთადერთია, რომელიც უშვებს სამრეწველო მტვერსასრუტს. ამ პროდუქციაზე დაკვეთა განუწყვეტლივ მატულობს. შარშან ქარხანამ გამოუშვა 4 ათასი ცალი მტვერსასრუტი. წელს მისი წარმოება 20 ათასი ცალამდე გაიზრდება. 200 ათასი ცალამდე გაიზრდება მტვერსასრუტთა შლანგების წარმოება, რაც თხუთმეტჯერ მეტია, ვიდრე 1970 წელს. საერთოდ ქარხანა წელს 600 ათასი მანეთის მეტი ღირებულების პროდუქციას გამოუშვებს. ამჟამად საწარმოში მუშაობენ გაზქურების წარმოების ასათვისებლად.

ამ გაზრდილი პროგრამის შესასრულებლად საწარმოში ბევრი ტექნიკური სიახლე დაინერგა და ინერგება, ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოს კოლექტივი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს სკკპ XXIV ყრილობას.

კომკავშირულ რგოლში

გარდაბნის რაიონის დიღმის საბჭოთა მეურნეობაში 34 კომკავშირელი უშუალოდ მუშაობს იქ, სადაც იქმნება სოფლის მეურნეობის სიუხვე.

მეურნეობაში ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდა მუშები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. იმ რგოლმა, რომელსაც კომკავშირელი მურმან გოძელიშვილი ხელმძღვანელობს, უკვე მოიმარგა საგანგებოდ ბოსტნეული ულტურების დასათესად საჭირო თესლი. ახლა ყველსაბოტრებში სწრაფი ტემპით ითესება საადრეო კომბოსტო.

მებოსტნეები ლია ქობულაშვილი და ლალი დორეული ბოსტნეული ულტურების დასათესად ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

კომკავშირელმა ტრაქტორისტმა ს. მახარაძემ ტრაქტორს რეჟიმენტი დროულად გაუკეთა და ახალშეკეთებული ტრაქტორით დღეში ხნავს 4-5 ჰექტარს ნაცვლად 3 ჰექტარისა.

დიღმელი კომკავშირელების პირობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბოსტნეულის, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დოვლათის შექმნის საქმეში, ახალი წარმატებით შეხვდნენ პარტიის XXIV ყრილობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

მ. ბელაძე.

გარდაბნის რაიონის დიღმის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

გაიხსნა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი

საბჭოთა ინდუსტრიის მეთაურთა ჯგუფი გახდა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პირველი მსმენელი. ეს ინსტიტუტი შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა. ინსტიტუტის გახსნა გაიმართა 1 თებერვალს მოსკოვში.

გახსნას დაესწრნენ ამხანაგები **ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ა. კირილინი,** სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **ვ. პ. ელიუტინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **მ. ვ. კელდიში.**

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ამხანაგებო!

თანდათან გვიახლოვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გახსნის დღე და დღითიდღე ფართოვდება მზადება პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის.

საქართველოს კომკავშირული აქტივის დღევანდელი კრება ეძღვნება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგებს, რომელმაც განიხილა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი ღირსეულად დგანან შრომითს ვახტზე, ესწრაფვიან თვითეული წინასაყრილობო დღე გადააქციონ დამკვრელური მუშაობისა და ჩინებული სწავლის დღედ.

ამის შესახებ დღეს ილაპარაკეს მომხსენებელმაც — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა და კამათში გამოსულებმაც.

მეტად აღსანიშნავია, რომ წარმოებაში მოგუშავე რესპუბლიკის 80 ათასმა კომკავშირელმა-ვადაზე შეასრულა ხუთწლიანი დავალებანი, რომ სამი ათასზე მეტმა ახალგაზრდა საწარმოს მუშამ უკვე გასული წლის ნოემბერში დაიწყო შრომა მიმდინარე, 1971 წლის ანგარიშზე.

მაგრამ ჩვენს კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას არასდროს არ აკმაყოფილებს მიღწეული, მოპოვებული. ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის ცხოვრების წესად, კანონად იქცა: მიაღწიე ერთ მიჯნას — ემზადე მეორე, უფრო მაღალი მიჯნის მისაღწევად.

იცავს რა ამ წესს, ჩვენი ახალგაზრდობა აფართოებს სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის ყრილობის ალსანიშნავად, კისრულობს ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს. აქაც კომკავშირელები ყველგან იჩენენ ინიციატივას, არიან ახალ სახარგებლო წამოწყებათა თაოსანნი.

შრომითს ვახტზე დადგნენ თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდა მანქანათმშენებლები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ფოთისა და ბათუმის გემთმშენებლები, რუსთავის მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცხელმენტეები და

ალვზარდოთ კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლნი

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება

რესპუბლიკის კომკავშირელები და მთელი ახალგაზრდობა შრომაში, სწავლაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი შესანიშნავი მიღწევებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია ჩაუნერგოს ახალგაზრდობას კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, იდეური რწმენა, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, ჩაბაას თვითეული კომკავშირელი, ქალიშვილი და ჭაბუკი 1971 წლის 25 მარტისათვის საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, პირად ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში.

მათი პასუხისმგებლობის, მებრძოლურობის, ძირეული რგოლების, კომკავშირული ჯგუფების, თვითეული კომკავშირული მუშაკის როლის შემდგომ ამაღლებაზე, მთელი ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფაზე დამოკიდებულია ლენინური კომკავშირის მიერ თავისი როლის — ლენინური პარტიის ერთგული თანაშემწის როლის წარმატებით შესრულება.

29 იანვარს გამართულ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა. მან დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი რესპუბლიკაში კომკავშირული მუშაობის მდგომარეობასა და ამოცანებს.

ამ სულ ახლახან გამართულმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა, თქვა მომხსენებელმა, განიხილა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ის საკითხები, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, კიდევ უფრო აამაღლონ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ავანგარდული როლი და გააუმჯობესონ ორგანიზატორული მუშაობა კომკავშირში.

ბევრმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ კონკრეტულად განსაზღვრა თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის როლი თავის საწარმოო კოლექტივში, დაეხმარა არა მარტო ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, არამედ ცოდნისა და საწარმოო კვალიფიკაციის დონის ამაღლებაშიც. ამის მაოხებით რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში. საკმარისია ითქვას, რომ 80 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. ჩვენმა მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ ბაკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წვრილი „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ", — ხაზგასმით აღნიშნა ჯ. პატიაშვილმა, — რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებისათვის არის საპროგრამო დოკუმენტი, იგი ახალგაზრდობას რაზმავს წარმოების რეზერვების ფართოდ გამოყენებისათვის საბრძოლველად.

ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის „კომკავშირული პროექტორის" სრულიად საკავშირო რეიდის დროს რესპუბლიკაში დაინერგა ოთხი ათასამდე რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის საწარმოო დანაკარგების შემცირებას, წარმოების ტექნოლოგიის გაუჯობესებას.

თანამედროვე ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დაუფლებისათვის ლაშქრობაში აქტიურად ჩაება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ახალგაზრდობა.

კომკავშირის კომიტეტმა შეიმუშავა ღონისძიებანი ამ საკეთილ ახალგაზრდობის ხასიათრივი ფიზიკურ-ტექნიკური ინიციატივის ფართოდ გავრცელებისა და ფართოდ გამოყენებისათვის. ახალგაზრდა მუშებისათვის მოეწყო ეკონომიკის საფუძვლების შეძენა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა ჩაატარეს ლექციები, ანალიზი, ინსტრუქციები, ინჟინერ-ტექნიკოსებმა ეფექტიანად ჩაატარეს ბრძოლა ნედლეულის, ენერგიის, ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვისათვის.

ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გახუხრელად იზრდება. საკმარისია თქვას, რომ ლენინის საიუბილეო წელს რესპუბლიკის 40 ქალაქსა და რაიონში სტუდენტთა ძალებით მოეწყო 950 ლექცია და მოხსენება, 425 კონცერტი, რომლებსაც დაესწრო 100 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ენერგიულად და თავდადებით იმრომეს ჩვენმა სტუდენტებმა ყაზახეთში, დაღესტანში, ვოლგის საავტომობილო ქარხნის, ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და ჩვენი რესპუბლიკის ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ობიექტის შენებლობაზე.

ამჟამად რესპუბლიკაში არის 8.292 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, 11.468 საამქრო, ბრიგადისა და მათთან გათანაბრებული კომკავშირული ორგანიზაცია, 17.703 კომკავშირული ჯგუფი. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომკავშირული კადრებისა და მათი აქტივის თვისებრივი შემადგენლობა. ახლა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივანთა პარტიული ფენა 39,3 პროცენტს შეადგენს. დღეს 5 ათასზე მეტი ახალგაზრდა კომუნისტი არის საამქრო, ბრიგადის, განყოფილების, ფაკულტეტისა და სხვა კომკავშირული ორგანიზაციების ჯგუფორგები და მდივნები.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის როლის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის, კომკავშირული აქტივისტების პირად მაგალითს.

მაგრამ მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვხვდებით უსისტემობას მუშაობაში. ზოგიერთი კომკავშირის კომიტეტი ვერ ითვალისწინებს ახალგაზრდობის მოთხოვნებს, ჯეროვნად არ აფასებს მის როლს საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში.

კომკავშირის ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაშია. კომუნისტური პარტიის ხრწნა უფალ ეყო ლენინური კომკავშირის წარმატებათა საფუძველი, კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების უპირველესი პირობა.

— რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, — თქვა დასასრულ ჯ. პატიაშვილმა, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი მიღწევებით ეგებებიან სკკპ XXIV ყრილობას.

ამ შესანიშნავი მოვლენის ღირსეულად შეხვედრა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის თვალსაჩინო დათვალიერებაა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კომკავშირულმა მუშაკებმა ინაპარაკეს ახალგაზრდობის თქვენარე შემოქმედებითი აქტივობაზე, ის პატრიოტულ საქმეებზე, საბჭოთა ხალხის საუკეთესო რევოლუციურ, საბრძოლო და ძრომითი ტრადიციებით მის აღზრდაზე, აღნიშნეს, პიოველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ძიღწევები და ნაკლოვანებანი.

ტრიბუნაზეა კომკავშირის თბილისის საკალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ[illegible].

ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციაში, თქვა მან, 114 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკია. ახლა იგი გახდა აუთრებთ ბრძოლისუნარიანია, შეუფლია გადაჭრას დიდი საქმეები. დღეს ყოველი მეორე კომკავშიელი სწავლობს, ყოველ ძეოთეულ აქვს უმაღლესი ან არაადიული უმაღლესი გათათლება. კომკავიირულ ფელიძღვანელთა ნაღვარე მეტი კოოუთხესია. გასულ, საიუბილეო წელს ათობით ახალგაზრდული კოლექტივი და ასობით კომკავიშელი ეეტასილია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კოთიტეტისა და საკათთველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ყიგიგებია. საკალაკო კომკავშირული ორგანიზაცია ორგზის დაჯილდოდგდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშით.

ვ. ალავიეე ფაყვრილებით შეეხო ნაკლოვანებეეეა ეალაკია ზოგიეოთი კოაკავიირული ორგანიზაციის საქმიანობაი. ეს ორგანიზაციები ჯეოოვან ყურადღეეას აო უთმობეი ახალგახოდობა ირომის, ყოფაცხოვრებიაა და სწავლის პირობების გაუჯობესების საკითხებს. საგრძოა ავაძაღლოთ კომკავშირული ბუმაკთა კასუხიაიმგებლობა, ორგანიზატოოული მუშაობის დონე თვითეულ კომკავშირულ ორგანიზაციაში.

საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლეო კოოსტეტი ეაორეეეტა ძდივანი ბ ა. ბარსსაა ილაპარაკა ავტოთეომიური რესპუბლიკაი ახალგაზოდობის ყაოძატეეებზე ეეოოე ხუთწლედის უკანასკნელ ეელს. ლეეინურ ჩათვლაში მოოაწილეოოდა აფაზეთის ათიათასობით კომკავშიოელი, რომელთათვისაც ეს იყო თავისეეური ბეეოოწრეა, ზოოსიითი და ალოეიკური სიმყიფის გამოცდა.

შეაალიმნავი ზრომითი წარმატებანი მოიაოოეა ეჩიგრების საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუეიი მექანიზაციო ქალაქეიეეიეა კომკავშირულ-ახალგაზრდულა კომპალეეაუოთა ბრიგადამ, როიელაც ააზიიიოოოოა ხასაია ფეთაურობა. ბრიგადამ ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველო" ბოკოიფა და საალემწიფოა ჩა

მსოფლიო დღეს

ეკონომიური გამარჯვების წელი

□

კრაკლა

1 თებერვალი. (საკლესი). ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის შედეგები მოწმობენ, რომ მიღწეულია ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის იანვრის პლენუმმა დასახა.

ეს ნათქვამია „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და 1970 წლის გეგმის შესრულების შესახებ ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში“, რომელიც გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ მრეწველობის მეტმა წილმა დარგებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმითი დავალებანი, წარმოების მთლიანი მოცულობა 7,7 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მოპოვებული საბრნაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში. საექსპლოატაციოდ გადაეცა 107,7 ათასი ახალი ბინა. ამდენი ბინა ჯერ არ აშენებულა მთელი ომისშემდგომი წლებიც მანძილზე.

ამოღებულია 28.183 ათასი ტონა ქვანახშირი, 77,5 მილიონი ტონა მურა ნახშირი, გამომუშავებულია თითქმის 45,2 კილოვატსაათი ელექტროენერგია, გამოდნობილია 7,5 მილიონი ტონა თუჯი, დაახლოებით 11.5 მილიონი ტონა ფოლადი, გამოშვებულია თითქმის 143 ათასი მსუბუქი ავტომობილი, 24,5 ათასი სატვირთო მანქანა, 18,5 ათასი ტრაქტორი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი მოცულობა 1,3 პროცენტით გაიზარდა 1969 წელთან შედარებით.

„ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში“ შემდეგ ნათქვამია, რომ გაღრმავდა სოციალისტურ ქვეყნებთან საერთაშორისო დანაწილება.

სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა 1969 წელთან შედარებით გაიზარდა 17 პროცენტით, კაპიტალისტურ ქვეყნებში — 10 პროცენტით.

ᲥᲐᲒᲣᲚᲘ — ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

1 თებერვალი. (საკლესი). ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი იყო ჰოსპიტლის მშენებლობაზე, რომელიც ქაბულში შენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. მეფე გაეცნო მშენებლობას, შემდეგ შეხვდა ავღანელ და საბჭოთა მშენებლებს. მან კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა მიმდინარეობის გამო და მადლობა გამოუცხადა საბჭოთა სპეციალისტებს.

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ — ᲙᲐᲘᲠᲝ

1 თებერვალი. (საკლესი). კაიროს აეროპორტში დგას „ტუ-134-ა“ საბჭოთა რეაქტიული ლაინერი. თვითმფრინავი აქ ჩამოიყვანა სსრ კავშირის დამსახურებულმა მფრინავმა საბჭოთა კავშირის ჯმირმა ნ. ნ. ხარტონოვმა, რათა მისი ფრენის თვისებები, შინაგანი და გარეგნული მოპირკეთება უჩვენოს ეგვიპტის ავიაკომპანიის წარმომადგენლებს, რომელმაც გამოთქვა სურვილი ჰყავდეს საიმედო თვითმფრინავი მეზობელ არაბულ ქვეყნებთან კავშირისათვის.

„თვითმფრინავი მეტად კარგია ფრენის დროს, გაცილებით უკეთესია სხვა თვითმფრინავებზე, რომლებთაც მიფრენია“, — განაცხადა ეგვიპტის ავიაკომპანიის დაგეგმვისა და წარმოების განყოფილების დირექტორმა ბადელ ლატიფ რამადანმა.

ᲘᲜᲓᲘᲠᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ — ᲓᲔᲚᲘ

1 თებერვალი. (საკლესი). „ვერავინ ვერ შეაჩერებს ქვეყნის წინსვლას სოციალიზმისაკენ პროგრესისა და ხალთა მასების ცხოვრების გაუმჯობესების გზით“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დელში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე.

„ცვლილებანი და ახალი ცხოვრება“ — ასე დაახასიათა პრემიერ-მინისტრმა მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის პროგრამის ძირითადი წინასაარჩევნო მიზნები.

ინდირა განდიმ დაგმო რეაქციის ძალების და, უწინარეს ყოვლისა, კონგრესის მემარჯვენე დაჯგუფების „სინდიკატის“, აგრეთვე შოვინისტური პარტიების „ჯან სანგჰის“ და რსს-ს ხრიკები, რომლებიც რელიგიურ — თემურ შუღლს აღვივებენ ქვეყანაში. „სინდიკატის“ და რეაქციული ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად, — განაცხადა ინდირა განდიმ, — ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვახორციელოთ სოციალური გარდაქმნათა პროგრამა“.

„ეფექტური ვერ გვაიძულებს გადავუხვიოთ მშვიდობისა და სოციალური პროგრესის არჩეულ გზას“, — ხაზგასმით აღნიშნა ინდირა განდიმ.

ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲘᲥᲘᲗ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ლაპარაკია დაზვერვაზე, ყოველთვის გულისხმობენ სახელმწიფოს, რომლის სისტემაშიც ეს დაზვერვა მოქმედებს და რომლის ინტერესსაც იგი იცავს. მაგრამ ისრაელის დაზვერვის შედარება კაპიტალისტური ქვეყნების ანალოგიურ ორგანოებთან ძნელია. ალბათ ეს მსოფლიოში ერთადერთი ფარული სამსახურია, ოომელიც თვით სახელმწიფოს შექმნამდე ამოქმედდა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პალესტინაში შეიქმნა სიონისტური სადაზვერვო ორგანიზაცია სახელწოდებით „ნილი“, რომელიც ინგლისს ინტერესებს იცავდა. მისი ხელმძღვანელი იყო სარა არონსონი. მოგვიანებით, 1930 წელს სიონისტებმა შექმნეს ორგანიზაცია „ხაგანა“ („თავდაცვა“). უნდა ითქვას, რომ „ხაგანის“ წევრი იყო ცნობილი ისრაელი რეაქციონერი მოშე დაიანი, რომელიც შემდგომში ექტორად თანამშრომლობდა ინგლისის ინტელიჯენს სერვისთან.

სიონისტთა მაღალი წრეების სათვალეზედ, რომ ეთითოდა ძალებსტანაში ანტიისრაელური ძალების არსებობსო, „ხაგანამ“ განახორციელა თავისი ერთ-ერთი უველაზე საზიზღარი ოპერაცია. ამ ორგანიზაციის წევრებმა ჩაძირეს გემი „პატრია“, რომელშიც პალესტინაში მიმავალი ისრაელი ლტოლვილები იყვნენ. დაიღუპა 250 კაცი. მეორე მსოფლიო ომის დროს „ხაგანას“ დაზვერვამ ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე შექმნა ეგრეთ წოდებული „გადამზადების ბანაკები“ მდიდარ ისრაელთა გადასარჩენად.

1937 წელს პალესტინაში იქმნება დაზვერვის მუდმივი აპარატი სახელწოდებით „შერუტ ისრაელ“ ანუ შაი („ისრაელის სამსახური“), რომლის საქმიანობაში ისრაელი და არაბი მოსახლეობის პროგრესული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაც შედიოდა.

როგორც ცნობილი გახდა მსოფლიო პრესაში, „ეკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მასალებიდან, სიონიზმის ლიდერები და მათი სადაზვერვო ორგანოები აქტიურად თანამშრომლობდნენ ჰიტლერული რაიხის მთელ რიგ შესაბამის უწყებებთან. ბევრი ისრაელი მზვერავი აქტიურად მუშაობდა ჰიტლერელთა სხვა ჯაშუშური ორგანიზაციებისათვის. სიონისტთა ცნობილი ლიდერი პოლკოვნიკი კი, რომელიც იმ დროს ებრაელთა „უშიშროებაზე“ ზრუნავდა, ნაცისტთა დაზვერვის რეზიდენტი იყო ახლო აღმოსავლეთში.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს სიონისტები ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში გადადიან. მაგრამ ამას როდი გამოუცვლია საერთაშორისო სიონიზმისა და მისი სადაზვერვო ორგანოების არსი და საქმიანობა. ომის დამთავრებისთანავე სიონისტური ორგანიზაციები და დაზვერვა აწყობენ მრავალრიცხოვან ცდებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობის მიზნით. ეს სამუშაო, კერძოდ, ეკისრებოდა აგენტ ზელიკ ვეიცმანს.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. სიონისტებმა ისარგებლეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობის სისუსტით და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების მხარდაჭერით და ხელთ იგდეს ძალაუფლება ამ ქვეყანაში. და მაშინვე წარმოიქმნა იმპერიალისტების მიერ პროვოცირებული კონფლიქტები ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის.

...რამდენიმე ამერიკელი ოფიცერი, რომლებიც იტალიაში ჩავიდნენ 1948 წლის გაზაფხულის ერთ დღეს, რომის ფაშენბერლურ სასტუმროში მოთავსდა, როგორც ეს „ნამდვილ ამერიკელებს“ შეეფერებოდათ. მიუხედავად სამხედრო მუნდირისა, ისინი არ ივიწყებდნენ პირად მოგებაზე ზრუნვას და ხშირად ხვდებოდნენ საქმოსნებს, კომერსანტებსა და იტალიელ ბიზნესმენებს. ყველა ამ შეხვედრების შედეგი ის იყო, რომ მათ იყიდეს ქარხანა, რომელიც ეგვიპტის არმიისათვის ამზადებდა ნაღმებსა და უუმბარებს. სულ მალე გამოირკვა, რომ მრავალი ნაღმი და უუმბარა არ ფეთქდება და მათში ნახერხი ყრია. ამ ქარხნის სხვა პარტიები კი ან გზაში ფეთქდებოდა ანდა ნალმსატყორცნებისა და ქვემეხების ლულებში.

...ხერიის გემი, რომელსაც იტალიიდან იარაღი მიჰქონდა, ზღვაში კატასტროფაგამოვლილ მებადურებს წააწყდა. კაპიტანმა ეკიპაჟის ნაწილის თხოვნით გემბანზე აიყვანა უბედურები. მალე მებადურებმა გემი ხელთ იგდეს და ტელ-ავივში მიიყვანეს.

ამერიკელი ოფიცერი-საქმოსნები, კომერსანტები და მებადურები „ზღვაში რომ უბედურება დაატყდათ თავს“, და გემის ეკიპაჟის ნაწილი ისრაელის დაზვერვის აგენტები იყვნენ. ისრაელის საიდუმლო სამსახურის პირველმა დიდმა ოპერაციამ მიიღო კოდური სახელწოდება „იტალიური ოპერა“.

საიდან აქვს ტელ-ავივის დაზვერვას მისი სახელმწიფოებრივი „სტაჟის“ მიუხედავად ამგვარი გამოცდილება? თუ თვალს გავაყოლებთ ისრაელის ფარული ორგანოების ხელმძღვანელთა ასეულს სამსახურებრივ კიბეზე, გასაგები გახდება, საიდან არის ასეთი „ავალიფიკაცია“. „შერუტ ისრაელის“ სამმართველოს განყოფილების ყოფილი უფროსი ისერ გალპერინი, რომელსაც 1963 წლამდე მაღალი თანამდებობები ეჭირა ისრაელის სადაზვერვო ორგანოებში, ისევე როგორც მისი მრავალი თანამშრომელი, იმპერიალისტური საზღვმწყობებისათვის მუშაობდა. რ. შილოახმა, ისრაელის საიდუმლო სამსახურის ორგანიზატორმა და. პირველმა ხელმძღვანელმა, თავის დროზე არც თუ ცუდი კარიერა გაიკეთა ინგლისურ ინტელიჯენს სერვისში. ამავე ორგანიზაციაში მაიორის ჩინამდე მიაღწია ისრაელის ახლანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აბა ებანმა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების საიდუმლო სამსახურთა იმ ყოფილი აგენტების მარტო გვარების ჩამოთვლა, რომლებსაც ახლა ისრაელის დაზვერვაში სხვადასხვა ადგილები უჭირავთ, შორს წაგვიყვანს. როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „შპიგელი“ ადასტურებს, ისრაელი მზვერავების მეოთხედი დღესაც გადის სტაჟირებას კაპიტალისტური ქვეყნების შესაბამის სამსახურებში.

მაგალითად, ძირგამომთხრელ საქმიანობას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის დაზვერვა აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან კონტაქტში. ამ ქვეყნების მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად ამერიკის დაზვერვას უფლება აქვს მისთვის საინტერესო საკითხებზე დაკითხოს სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულნი. ისრაელის დაზვერვა სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების და უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვასთან ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებს. იგი აქტიურად აგროვებს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ცნობებს საბჭოთა კავშირზე, სოციალისტურ ქვეყნებზე და არაბთა სამყაროზე.

ვაშინგტონი მოელაპარაკება ტელ-ავივს ეგრეთ წოდებული „მეცნიერული თარგმანების ინსტიტუტის“ შექმნის თაობაზე, რომელსაც ამერიკელი მზვერავები ხელმძღვანელობენ. „ინსტიტუტი“ თარგმნის და ამუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას. მეცნიერთა ცალკეულ შრომებს, აგრეთვე დახურულ მასალებს, რომლებსაც როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური გზით იღებს. ამ ინსტიტუტის მისამართია: იერუსალიმი, იონ გვიროლის ქუჩა 10.

1970 წლის ზაფხულში პაკისტანის ყოველკვირეული „პიპლი“ იტყობინებოდა: „ტელ-ავივმა დაამყარა ფართო და მჭიდრო კავშირი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ვაშინგტონის პირდაპირ კონტროლში იმყოფებიან. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და კაპიტალისტური ქვეყნების ჯაშუშურ ცენტრებს კარგად აქვთ

სიონიზმი: ᲯᲐᲣᲨᲝᲑᲐ, ᲓᲔᲛᲐ�გᲝᲒᲘᲐ

ორგანიზებული ერთობლივი ბრძოლა ებრაელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ბედნიერებისთვის. ეს ბრძოლა ებრაელ ხალხს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე,

საბჭოთა გეოლოგიური საიდუმლოებანი

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ქუთაისის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრში — ქალაქ ბათუმში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის შენობაში მიმდინარეობს შავი ზღვის შელფური ზონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი.

იგი მოაწყეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის განყოფილებასთან არსებულმა საინჟინრო გეოლოგიისა და გრუნტმცოდნეობის სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის პრობლემათა სამეცნიერო-საკვლევმა ლაბორატორიამ.

სიმპოზიუმმა მუშაობა დაიწყო 1 თებერვალს. იგი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის განყოფილებასთან არსებული საინჟინრო გეოლოგიისა და გრუნტმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. სერგეევმა.

სიმპოზიუმთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა სიმპოზიუმის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და მთავარ მომხსენებელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ იოსებ ბუაჩიძეს და სთხოვა მას მოკლედ გაეცნო მკითხველებისათვის სიმპოზიუმის ძირითადი დანიშნულება და მუშაობის პროგრამა. აი რა გვითხრა მან:

საზღვაო სანაპიროთა სახალხო სამეურნეო ათვისების ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს შელფისა და სანაპირო ზონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების კომპლექსურ შეფასებას. შავი ზღვის შელფის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა ამჟამად თავისი განვითარების საწყის სტადიაშია. ამიტომაც ჩემი მოხსენების — შავი ზღვის შელფური ზონის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა — მიზანს წარმოადგენს შელფურ ზონაში გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური პირობებისა და თანამედროვე გეოლოგიურ პროცესთა საერთო დახასიათება და შელფურ ზონაში საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევათა ძირითადი ამოცანების განსაზღვრა.

შავი ზღვის აუზის შესახებ საერთო ცნობების შემდეგ მოხსენებაში სიმპოზიუმს წარუდგება შავი ზღვის შელფის დარაიონების ძირითადი პრინციპები. ჩვენი აზრით, შავი ზღვის შელფის დარაიონებასას მეტწილად სარწმუნო იქნება გენეტიკური ნიშნები. შავი ზღვის პირობებში შელფის წარმოქმნა შესაძლოა განპირობებს შემდეგმა ფაქტორებმა: დონის ეფსტატიკურმა მეტყეობამ, ნეოტექტონიკურმა მოძრაობამ და მდინარეთა შესართავისეულმა სედიმენტაციამ. ამ ფაქტორთა რთულ თანამოქმედება განსაზღვრავს შელფის წარმოქმნის პროცესთა მიმართულებას.

ამჟამად ფაქტიური მასალის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს საყოველთაოდ გამოვიყენოთ აღნიშნული გენეტიკური ფაქტორები, ამიტომაც შავი ზღვის შელფის დარაიონებას ვახდენთ გეოსტრუქტურულ-მორფოლოგიური პრინციპით. ამ პრინციპის თანახმად შავი ზღვის შელფი დავყავით ბოსფორის, ზონგულდაგის, სინოპ-სამსუნის, ტრაპეზონ-ბათუმის, კოლხიდის, გუდაუთის, გაგრის, სოჭა-ნოვოროსიისკის, აზოვ-ქერჩის, მთიანი ყირიმისა და დნეპრ-დუნაის რაიონებად.

ჩვენს მიერ ნაკვლევი და შესწავლილი მასალების მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ ზოგიერთი წინასწარი დასკვნა, რომლებიც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა ედოდეს შელფისა და სანაპიროს ზონის შემდგომ შესწავლას.

შელფზე ძაკვირვება უნდა იწარმოოს შავი ზღვის მთელ პერიმეტრზე (4000 კმ) იმ მცირე უბნების გამოკლებით, სადაც კაბიოთა მწვერვალები საგრძნობლად უახლოვდებიან ნაპირს, ცალაბოკლდევებანი ნაპირებისა და იმ ადგილების გამოკლებით, სადაც შელფი დამახასიათებელია ახალი დელტური ნალექების ქვეშ.

ნაპირთა დინამიკის დღევანდელი შესწავლის სურათი საშუალებას არ იძლევა ვიმსჯელოთ ამ პროცესზე შავი ზღვის აუზის მთელი პერიმეტრის მასშტაბით, მაგრამ ჩვენს შიერ შედარებით კარგად შესწავლილი რაიონების მიხედვით დინამიკის პროცესთა ხასიათის ზოგიერთი ტიპიზაციის შესაძლებლობა გვაქვს.

ნაპირთა დინამიკის პროცესებს რომ განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნაპირის მდგომარეობა განისაზღვრება არა მარტო მისი გეოლოგიურ-ლითოლოგიური აგებულებით და ტალღობრივი რეჟიმით, არამედ მნიშვნელოვანწილად აგრეთვე შელფის წყალქვეშა სანაპირო ქანობის ხასიათითაც. ციცაბო შელფებს და მათს სანაპირო ქანობებს თან სდევს ტალღობრივი ძალის ინტენსიური ზემოქმედება, ხოლო დამრეცთ — უფრო სუსტი, რაც მეტწილად განპირობებულია შელფის დამრეცი უბნებზე ტალღების თანდათანობითი დეფორმაციით და ნალექის სიუხვით ციცაბო ფერდობებზე.

შავი ზღვის შელფურ ზონაში გაწეული კვლევის ანალიზი მიგვანიშნებს ამ დარგში გეგმაზომიერი კვლევების ფორსირების აუცილებლობაზე. ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა ფრიად აქტუალურია, რადგან შელფისა და განსაკუთრებით მისი ზედაპირის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების უქონლად, თანამედროვე ეტაპზე, შეუძლებელია განვახორციელოთ ნაპირგასამაგრებელი ღონისძიებანი და სანაპიროთა სახალხო სამეურნეო ათვისების პერსპექტიული დაგეგმვა. ამას გარდა შელფი შეიცავს სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულს — სამშენებლო ქვიშის, მაგნეტიტური ქვიშის, მარგანეცის, იშვიათი ლითონების შემცველი ქვიშის, ნავთობისა და სხვათა საგრძნობ მარაგს. შელფი საყურადღებოა სანაპიროთა მიწისქვეშა წყლების რეპურსების შეფასების მხრივაც. როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, მთელ რიგ უბნებზე ხდება მიწისქვეშა წყლების ინტენსიური სუბმარინული განტვირთვა.

შელფური ზონის შემდგომი შესწავლა უნდა განხორციელდეს გეოლოგიური პირობების დეტალური ანალიზით, ამიტომ აუცილებელია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ეწყობოდეს თანამედროვე გეოლოგიური პროცესების რიცხობრივი და თვისებრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით, ამასთან უნდა ეწყობოდეს შელფური ზონისა და სანაპიროთა კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა. ზოგიერთ საკვანძო უბნებზე აუცილებელია ჩატარდეს ტიპური დეტალური აგებვა კონკრეტული ამოცანების შესაბამისად, ფართოდ დანერგოს გეოიაკუსტიკური მეთოდები, რომელთა გამოყენებამ კარგი შედეგები მოგვცა ბიჭვინთის კონცხის შელფის გამოკვლევის დროს.

ცხოვრება გვაკარნახებს, რომ უახლოეს ხანში შელფი მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტი გახდება. შელფის გეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიური რუკების შედგენას გთვლით ჩვენს პირველი რიგის ამოცანად.

შავი ზღვის შელფური ზონის გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მკვლევართა ნაყოფიერი თანამშრომლობასთვის საჭიროდ მიგვაჩნია საყოფრდინაციო საბჭოს შექმნა მასში შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა წამყვანი სპეციალისტების ჩაბმით.

ჩვენს ამ დიდმნიშვნელოვან სიმპოზიუმს ესწრებიან, მასზე მოხსენებებს კითხულობენ ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და პრაქტიკოსები მრავალ ქალაქიდან და სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებიდან. აქ განხილება არა მარტო შავი, არამედ აზოვი კასპიის, აზოვის ზღვების, მდინარეთა შელფების პრობლემები. ოცდათხუთმეტი მოხსენება და მათს გარშემო გამართული კამათი-განხილვა, მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტიანად დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ისეთი პრობლემის შემდგომ შესწავლაში როგორიც არის შელფისა და სანაპიროს პირობათა შესწავლა, მათი ჩაყენება სახალხო-სამეურნეო ინტერესთა სამსახურში.

და სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი ღონისძიება ბორიკიელდება სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ ბათუმში. ამას უთუოდ აქვს თავისი გამართლება იმითაც, რომ საქართველოში საკმაოდ დიდი და ნაყოფიერია სამეცნიერო მუშაობა შელფური და სანაპიროთა ზონის პრობლემების გადაწყვეტაში.

„მერანის“ სალონში

გვთავაზობს ფოტოკლუბი „საქართველო“

ყარბი ტრადიცია დამყარდა საქართველოს პროფსაბჭოს ფოტოკლუბ „საქართველოში“ — მოაწყოს შემოქმედებითი ანგარიშები, მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ საზღვარგარეთის ქვეყნების ფოტოოსტატთა გამოფენები. 1 თებერვალს გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში „საქართველო“ მრავალი მაყურებლის წინაშე წარსდგა ახალი ანგარიშით. გამოფენაზე, ქართულ ავტორთა გვერდით წარმოდგენილია საფრანგეთის მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატთა ნამუშევრები. ეს გამოფენა მოაწყვეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის ფოტოგრაფიის სექციამ და რესპუბლიკურმა ფოტოკლუბმა „საქართველომ“.





სურათებზე გამოფენის ექსპონატები: ზემოთ — მ. თათარიშვილის „ალისა სასწაულის ქვეყანაში“; ქვემოთ — მარცხნივ ი. კაზენავის „კაკა“ (საფრანგეთი), მარჯვნივ — ს. ბანტურიას ფოტო „კახეთის გზაზე“.

გამოფენის ფრანგულ ნაწილში წარმოდგენილია 44 ავტორის 50 ნამუშევარი. რომლებიც ეროვნულმა ფედერაციამ შეარჩია საფრანგეთის წამყვანის ფოტოკლუბების საუკეთესო ფოტოსურათებიდან. ავტორთა შორის არიან ცნობილი ფოტოოსტატები ემილ დლოკამსი, რენო კომეტი, ჟან ბენამორი, ივ კაზენაფი, ბერნარდ ოგერი, რენე კატელანი და სხვები, რომლებიც სხვადასხვა მანერით მუშაობენ. მხატვრული ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფედერაციამ მათ მიანიჭა „საერთაშორისო ოსტატის“ საპატიო წოდება.

ფოტოკლუბ „საქართველოს“ წევრები ძირითადად არიან მოყვარულნი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — ინჟინრები, პედაგოგები, მუშები, სტუდენტები, მოსწავლენი. მით უფრო სასიხარულოა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი 30 ავტორის 80-ზე მეტი ნამუშევარი მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფოტოსურათები აშუქებენ ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, პოეტურად გადმოსცემენ მშობლიური მხარის პეიზაჟებს.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. ფასაძე, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე და ფოტოკლუბ „საქართველოს“ ხელმძღვანელი ს. კილაძე.

(საქდესი).

ფეხბურთის ა მ ბ ე ბ ი

1971

შეხვედრები კაზარჯიკსა და სოფიაში

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ბულგარეთის ქალაქ ველინგრადში საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაზე ადგილობრივ საკლუბო გუნდთან — „სლავიასთან“ 3:1. როგორც ბულგარეთის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ წერს, ეს იყო საბჭოთა ფეხბურთელების მეორე მატჩი, პირველი შეხვედრა კი შედგა ქალაქ პაზარჯიკში საკლუბო გუნდთან — „მარიცასთან“. ამ მატჩშიც წარმატება საბჭოთა ნაკრებს ხვდა 5:1. მე-3 წუთზე ანგარიში მუნტიანმა გახსნა, მე-17 წუთზე მანვე მეორეჯერ აიღო მეტოქის კარი, ხოლო 38-ე წუთზე ფედოტოვმა მესამე ბურთი გაიტანა. ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ბულგარელმა ცვეტკოვმა შეამცირა ანგარიში — 1:3. მეორე ნახევარში ჯერ მასპინძელთა მცველმა სებეგმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი, შემდეგ კი ეშტრეკოვი მეხუთე გოლის ავტორი გახდა.

ამ მატჩში ნაკრების თითქმის ყველა წევრი თამაშობდა. პირველ ტაიმში ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა — ბანიკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლინი, ლოგჩევი, კულჩიცკი, მუნტიანი, კოპეიკინი, ფედოტოვი, შევჩენკო, ევრიუფანინი. შესვენების შემდეგ მწვრთნელმა ვ. ნიკოლაევმა 6 მოთამაშე შეცვალა. მოედანზე გამოვიდნენ — ისტომინი, კისელიოვი, გ. ნოდია, დოლგოვ, ეშტრეკოვი, დუდარენკო.

ბულგარეთში ზედიზედ ორი შეხვედრის მოგების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებს სოფიაში მესამე მატჩი ჰქონდათ ამ ქვეყნის ჩემპიონთან — „ლევსკი-სპარტაკთან“. ორივე გუნდი შეუპოვრად იბრძოდა. ანგარიში 23-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს და ტაიმიც მათ მოიგეს 1:0. გოლის ავტორი იყო პანოვი.

მეორე ნახევარში უტეევნენ საბჭოთა ფეხბურთელები. ერთ-ერთი კომბინაცია, რომელიც მუნტიანმა წამოიწყო, კოპეიკინმა გოლით დაადგერგინა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

სამ მატჩში (2 მოგება, 1 ფრე) საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქის კარში 9 ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი 3 ბურთი მიიღეს.

პირველი საკონტროლო

„ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები ემზადებიან ახალი სეზონისათვის — სსრ კავშირის თასისა და პირველობის გათამაშებისათვის. როგორც წესი, სეზონის წინ უმაღლესი ჯგუფის გუნდების უმრავლესობა თავს იყრის შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე — სოჭში, ხოსტაში, ლესელიძეში, გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში. აქ გადიან შეკრებას, აწყობენ საკონტროლო მატჩებს, აკომპლექტებენ ძირითად შემადგენლობას.

ამ დღეებში სოჭს ეწვივნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და „ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. აქ მათ კვირას საკონტროლო შეხვედრა ჰქონდათ. ანგარიში ტორპედოელმა პაისმა გახსნა, შემდეგ კი ლენინგრადელმა გონჩაროვმა საპასუხო ბურთი გაიტანა და მატჩი ფრედ დამთავრდა.

კალათბურთელთა ასპარეზობა

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის.

თბილისის დინამოელებს მორიგი შეხვედრა კიევში ჰქონდათ ადგილობრივ „სტროიტელთან“, თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე უპირატესობას მასპინძლები ინარჩუნებდნენ, მაგრამ სწორედ ბოლო წუთებში თბილისელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება, ჯერ ალადინეს წონასწორობა, შემდეგ კი ხელიდან გამოსტაცეს მეტოქეს გამარჯვება 69:66.

ლენინგრადის „სპარტაკი“ განაგრძობს ლიდერობას. მორიგი შეხვედრა ლენინგრადელებს ჰქონდათ საკუთარ მოედანზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან და გაიმარჯვეს 78:62.

რიგის ვეფ-ი დამარცხდა ცსკა-სთან შეხვედრაში 67:89, კაუნასის „ელვირისმა“ მოუგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს 97:85.

ქალთა ფეხბურთი

მეოთხე ფეხბურთელებს სოფიაში მესამე მატჩი ჰქონდათ ამ ქვეყნის ჩემპიონთან — „ლევსკი-სპარტაკთან“. ორივე გუნდი შეუპოვრად იბრძოდა. ანგარიში 23-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს და ტაიმიც მათ მოიგეს 1:0. გოლის ავტორი იყო პანოვი.

ქთი საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის წინადადებით დაამტკიცა გასული სეზონის ათი საუკეთესო არბიტრის სია.

ეი ისინი: კ. ანძიულისი (კაუნასი), ტ. ბახრამოვი (ბაქო), ა. ივანოვი (ლენინგრადი), პ. კაზაკოვი (მოსკოვი), კ. ყრუაშვილი (თბილისი), ვ. ლიპატოვი (მოსკოვი), ა. მილჩენკო (სოხუმი), ი. პონომარიოვი (ალმა-ათა), ვ. რუდნევი (მოსკოვი), ა. ცაპოვეცკი (კიევი).

ძალები მოსინჯეს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები უფროსი მწვრთნელის გ. კაჩალინის ხელმძღვანელობით ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ სეზონისათვის მზადებას. ბაკურიანიდან დაბრუნების შემდეგ ისინი ვარჯიშობდნენ ღია ცის სპორტულ ბაზაზე დილომში.

კვირას დინამოელები რუსთავს ეწვივნენ და აქ ამხანაგური მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „მეტალურგთან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

„დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ — ურუშაძე, რეხვიაშვილი, ებრალიძე, ხუროცილავა, ხონჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტიავაძე, მაჩაიძე, მეტრეველი (გუცაევი), გაგაშელი, ლ. ნოდია.

□

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. შეტევაზეა მ. ხურცილავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა მოციგურავეების ტრიუმფი

ლენინგრადში გ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა ევროპის ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთათვის.

ასპარეზობა 500 მეტრზე რბოლით დაიწყო. აქ ყველას აჯობა საბჭოთა მოციგურავემ ლ. ტიტოვამ — 45,54 წამი.

მომდევნო დისტანციაზე 1.500 მეტრი წარმოადგენდა. ნ. სტატკევიჩმა აქ აჩვენა უკეთესი დრო — 2 წუთი და 25,5 წამი. ორი დისტანციის ჯამით იგი ლიდერი გახდა — 94,730 ქულა. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ლ. ტიტოვა მეორე ადგილზე აღმოჩნდა — 95,473 ქულა. მესამე ადგილზე იყო მოსკოველი ვ. სუროვიკინა — 95,510 ქულა.

ამსოლუტური პირველობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა გუშინდელ შეხვედრებს — 1500 მეტრს 1.000 და 3.000 მეტრზე. 1.000 მეტრზე პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად აკუ განაწილდა — ლ. ტიტოვა — 1 წუთი და 36,1 წამი, ნ. სტატკევიჩი — 1.37,0, ტ. ავერინა — 1.37,6.

და აი უკანასკნელი, ყველაზე საპასუხისმგებლო და მძიმე დისტანცია — 3.000 მეტრი. აქ ყველას აჯობა და ოქროს მცირე მედალი მოიპოვა — ტ. სერიოგინამ — 5 წუთი და 20,5 წამი. ნ. სტატკევიჩი მეორე იყო — 5.23,2. მოსფლიოს ორგზის ჩემპიონი სტინ კაიზერი (ნიდერლანდი) მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ამრიგად, მრავალჭიანში სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს. ეს ჩემპიონატად უმეტესად ტრიუმფი იყო. ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა ნ. სტატკევიჩმა — 197,097 ქულა. მასვე გადაეცა ოქროს დიდი მედალი და მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ვერცხლის მედალი დაიმსახურა ლ. ტიტოვამ, ბრინჯაოსი — ს. სერიოგინამ.

ა. მეტრეველის ოთხი გამარჯვება

ავსტრალიის ჩოგბურთის მოედნებზე ჩინებულად გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი. მან ოთხი ტურნირი მოიგო ხუთიდან, რომლებშიც მონაწილეობდა მოსკოველ ოლეგ მოროზოვასთან ერთად, რომელიც ასევე წარმატებით გამოვიდა.

ავსტრალიაში ჩვენი სპორტსმენების დასკვნითს შეჯიბრებაში — ვიქტორიის შტატის ღია ჩემპიონატში — თბილისელი ჩოგბურთელი შესანიშნავად მივიდა ფინალამდე და გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ავსტრალიელი პილ დენტი ანგარიშით 6:4, 6:2. (საქდესი).

ვ. კორჩნოი პირველ ადგილზე

ჰოლანდიის ქალაქ ბევერვიკში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში ვაჟთათვის. უკანასკნელ ტურში ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ვ. კორჩნოიმ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონთა შეხვედრის ერთ-ერთი პრეტენდენტი რ. პიუბნერი (აფრ), 15-დან 10 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა მეორე-მეხუთე ადგილები გაიყო.

თეორია, ლეგენდა და... თეგერვალი

ზოგიერთი მკვლევარის აზრით თებერვალი მომდინარეობს ძველი რომაული დღესასწაულის „ფებრუასაგან“. ლათინურად იგი ნიშნავს ოხის ტყავის ღვედს. ღვედებით ჭრუმები ქალებს სცემდნენ ჭუჭებში ამ დღესასწაულზე. სხვა ვერსიით „ფებრუმ“ ლათინურად ნიშნავს მკვდრის სულის მოსაგონარს, განწმენდას.

ძველ რომში თებერვალი წლის ბოლოს თვე იყო, ფებრუებისათვის კი წლის მეხუთე თვე, რომელსაც პლუტიოზი (წვიმიანი თვე) ერქვა. რუსეთში თებერვალი ყველაზე ცივ და სუსხიან თვედ თვლიდნენ. ძველ ქართულში თებერვალს (ანუ ფებერვალს) ხურწყუნისი ეწოდებოდა.

რატომ აქვს თებერვალს ოცდარვა დღე? ამის შესახებ ინგლისელებს ჰქონიათ ასეთი ლეგენდა: „თებერვალი საშინელი მოთამაშე იყო ბანქოსი და ხშირად აგებდა. ერთხელ ძალიან ბევრი წაგო და რამდენიმე დღით თავი დაანება თამაშს, მაგრამ დიდხანს ვერ მოითმინა და ერთხელ კიდევ სცადა თავისი იღბალი. ამ დღეს მოიწვია თავისი მეგობარნი: ივნვარი და მარტი; დაიწყო თამაში. ამ დღეს იმდენი წააგო, რომ ფულიც კი ალარ დარჩა ვალი გადაეხადა. ამიტომ თითო დღე თითო თვეს მისცა. ამის გამო იანვარსა და მარტს 31 დღე აქვს, თებერვალს კი — 28“. („ИЗВЕСТИЯ“, 1903 წ. 7 მარტი).

ძველათ თებერვალში 29 (ნაკიან წელიწადში კი 30) დღე ითვლებოდა, მაგრამ ახალი კალენდარის შედგენის დროს იმპერატორმა ავგუსტმა თავისი სახელობის 30-დღიან თვეს (აგვისტო) თებერვლის ანგარიშში ერთი დღე მიუმატა, რის გამო თებერვალი 28-დღიანი შეიქნა.

რომაელების რწმენით თებერვალი ცუდ, უიღბლო თვედ მიაჩნდათ, რომელიც ყველაზე ნაკლებ დღეებს უნდა შეეცავდესო.

თებერვალს ყოველ 4 წელიწადში (ნაკიან წელიწადში) ემატება ერთი დღე და ის 29 დღიანი ხდება.

„— როცა როსსინი სამოცდათორმეტი წლისა იყო, ვიღაცამ უთხრა თურმე, ჯერ კიდევ ყოჩაღი და მხნე ხარო. — მერე რა საკვირველია! მე მხოლოდ 18-ჯერ მიდღესასწაულია ჩემი დაბადების დღეო.

საქმე ის არის, რომ როსსინი 29 თებერვალს დაიბადა და, მაშასადამე, იმის დღეობა მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ მოდიოდა“ („ИЗВЕСТИЯ“, 1892 წ. 10 მარტი).

ს. ნუცუბიძე.

ვ. რ. მაისაია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნეიროქირურგიული განყოფილების უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა **ვალერი რაფაელის ძე მაისაიამ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ზოგიერთი საჭმლის მომნელებელი ორგანოს ფუნქციონალური მოშლილობანი ქალა-ტვინის მწვავე ტრავმის დროს“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. რ. მაისაიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტელევიზია

2 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.15 — მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი ბანაკი“, 13.45 — „ექიმთა დასამმარებლად“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცეროდენას ეარნი“, 18.35 — კონცერტი ბავშვებისათვის, 19.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „წიგნების სამყაროში“, 21.05 — კინონარკვევი, 21.35 — რომანსების საღამო, 21.55 — მხატვრული ფილმი — „სახელმწიფო ბოროტმოქმედ“.

3 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.40 — „სატელევიზიო თეატრი იღებს სტუმრებს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — მხატვრული ფილმი — „სახელმწიფო ბოროტმოქმედი“, 17.00 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „ავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე“, 18.45 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — 1953 წელი, 19.05 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. ყირგიზეთის სსრ (გადმოცემა ფრუნზედან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, 21.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“, 23.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

თეატრები

2 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (6 საათზე); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სანამ ურემი გადაბრუნდება; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — წმინდანები ჭოკოხეთში; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ცოლები და ქმრები; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“ (№ 55 აბონ. 5 ს. და 30 ნ.).

კინო

2 თებერვალი

ოქტომბერი — **ლიუბოვ იაროვაია**; ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **მუსიკოსები ჩემპიონები, მულტფილმების კრებული**; ვარძია — **ოჯახური ბედნიერება**; თბილისი — **გადაბუგული მიწა**; 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — **თავდასხმა სარაევოში**; 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი) — **დედობრივი სიყვარული** (I, II სერია, ქართული ვარიანტი); კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **ერთი ჩვენგანი**; ნაკადული — **ყველაფერი გასაყიდად**; სახალხო — **მოზარდები** (I, II სერია); ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ლეგენდა თოვლის ქალზე**; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **შვიდდღიანი ომი**; თანამგზავრი — **ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო**; ეკრანი — **უკანასკნელი რელიკვია.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 02738

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.